პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 75 (5176) | შაბათი, 2 აპრილი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

დავაწინაუროთ უპარტიონი ხელმძღვანელ საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე (მოწვინავე)

გმირ-პაპანინელებს კიევის ასიათასობით მშრომელი შეხვდა (1-ლი გვ.)

უფრო გაბედულად გავშალოთ ბოლშევიკური თვითკრიტიკა („პრავდის“ მეთაური.—მე-2 გვ.)

აზერბაიჯანის ხელოვნების დეკადის მონაწილენი ჩავიდნენ მოსკოვს (1-ლი გვ.)

„ნ—209“ თვითმფრინავის ძებნა (1-ლი გვ.)

ა. მჭედლიძე—მეტი ყურადღება პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას (მე-3 გვ.)

სევერიან ისიანი—სამშობლო (ლექსი.—მე-3 გვ.)

უცხოეთში:

იტალია-გერმანიის ინტერვენცია ესპანეთში (1-ლი გვ.)

რუმინეთის ახალი მთავრობა (1-ლი გვ.)

ინგლისის მთავრობა მფარველობას უწევს ფრანკოს აგენტს (1-ლი გვ.)

მუსოლინის მუქარა საფრანგეთის მისამართით (მე-2 გვ.)

დავაწინაურთ უპარტიონი ხელმძღვანელ საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე

ბოლშევიკური პარტია, ლენინ-სტალინის პარტია არის ხალხური პარტია, რომელსაც მთელი თავისი ფესვები ხალხის მასაში აქვს გადგმული. ეს არის მისი ძალა, მისი უძლეველობის წყარო.

დიდი ლენინი და სტალინი ათეული წლების მანძილზე უდიდესი მზრუნველობით ზრდიდნენ და აწინაურებდნენ მუშათა ახალ კადრებს, მტკიცედ აკავშირებდნენ მათ ბოლშევიკურ პარტიასთან.

„ავანგარდი მხოლოდ მაშინ ასრულებს ავანგარდის ამოცანებს, როცა მას შეუძლიან არ მოსწყდეს იმ მასას, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, არამედ ნამდვილად წაიყვანოს წინ მთელი მასა“, — გვასწავლიდა დიდი ლენინი. „ბოლშევიკების ძალა, კომუნისტების ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მათ შეუძლიანთ ჩვენი პარტიის ირგვლივ შემოიკრიბონ მილიონობით უპარტიო აქტივი“, — გვასწავლის დიდი სტალინი.

და მართლაც, მასებთან მჭიდრო კავშირის გარეშე, პარტიის პოლიტიკის ირგვლივ მათი დარაზმვისა და შემჭიდროების გარეშე განა შესაძლებელი იქნებოდა იმ გრანდიოზული მიღწევების მოპოვება, რომლებიც ახლა ჩვენ გვაქვს?

ლენინ-სტალინის პარტიამ მტკიცე ხელით წაიყვანა მთელი ხალხი სოციალიზმისაკენ, სოციალიზმმა გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში. მუშები, კოლმეურნენი, მოსამსახურენი, ინტელიგენცია, მთელი ხალხი თავისი ბედის ნამდვილი ბატონ-პატრონი გახდა. ამიტომ არის, რომ მშრომელებს უყვართ ჩვენი პარტია, აქვთ მისი რწმენა, ხედავენ მასში თავის ნამდვილ გულშემატკივარს და მტკიცე ხელმძღვანელს. და განა შემთხვევითია ის ფაქტი, რომ უპარტიო მუშათა და კოლმეურნეთა ფართო მასები ჩვენს პარტიას სთვლიან თავიანთ პარტიად, ახლობელ და მშობლიურ პარტიად?

ჩვენი პარტია ხალხის ამ მასებიდან აწინაურებს ახალ-ახალ ძალებს, ახალ კადრებს, იზიდავს მათ სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში.

უსაფუძვლოა ზოგიერთი ხელმძღვანელთა წუწუნი იმის შესახებ, თითქოს არ გვყვანან შესაფერისი მუშაკები, თითქოს არ გვყვანან სათანადო კადრები. ეს არ არის სწორი. „უნარიანი ადამიანები, ნიჭიერი ადამიანები ჩვენ ათეული ათასობით გვყვანან. ოღონდ საჭიროა იცნობდე მათ და დროულად აწინაურებდე, რათა მათ ძველ ადგილზე ხავსი არ მოეკიდოთ და ლპობა არ იწყოს. ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ“, — ამბობს დიდი სტალინი.

უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა მრავალრიცხოვანი საბჭოთა კავშირის ხალხთა მასების პოლიტიკური აქტივობა. ლენინ-სტალინის პარტიის ირგვლივ დაირაზმნენ და კიდევ უფრო ირაზმებიან მრავალრიცხოვანი ახალი კადრები, ადამიანები, რომელთაც იციან და ესმით თავიანთი საქმე, რომელნიც უსაზღვროდ ერთგულნი არიან ჩვენი პარტიისა. ამათგან მცირე ნაწილი როდი შეიძინა ჩვენს პარტიაში. ახლაც ხომ ათასობით და ათიათასობით ემზადებიან ბოლშევიკურ პარტიაში შესასვლელად.

რამდენი ათეული და ასეული შეგვიძლიან ჩამოვთვალოთ არაპარტიული ბოლშევიკი მუშა და კოლმეურნე სტახანოველები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარენი, ახალგაზრდა სპეციალისტები, რომელნიც შეიძლება დავაწინაუროთ ხელმძღვანელ საბჭოთა - სამეურნეო სამუშაოზე,—მაგრამ ზოგიერთი ჩვენი მუშაკი ამ საკითხს ღრმად არ უფიქრდება, საკმაოდ და ყოველმხრივ ვერ სწავლობს ამ ადამიანებს.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, განიხილა რა ხელმძღვანელ საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე უპარტიოთა დაწინაურების საკითხი, თავის ა-წ. 4 მარტის დადგენილებაში აღნიშნა, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები უპარტიო მუშაკებს აწინაურებენ, როგორც წესი, მხოლოდ მეორეხარისხოვან და ტექნიკურ თანამდებობაზე; რომ ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში ფეხი მოიკიდა ოლქისა და რაიონის ყველა ხელმძღვანელ თანამდებობაზე აუცილებლად პარტიის წევრების დანიშვნის არასწორმა წესმა; რომ პარტიული ორგანიზაციების ბევრი ხელმძღვანელი მხოლოდ იმის გამო არ აწინაურებს უპარტიო მუშაკებს, რომ ისინი არ არიან პარტიის წევრები, თუმცა პოლიტიკური და საქმიანი თვისებების მიხედვით, პრაქტიკული გამოცდილებითა და განათლებით ამ უპარტიო მუშაკებს სავსებით შეუძლიანთ იყვნენ დამოუკიდებელ ხელმძღვანელებად საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში.

ცენტრალურმა კომიტეტმა, მოისმინა რა საკ. კ. პ. (ბ) გორკის საოლქო კომიტეტის მოხსენება, აღნიშნა, რომ ამ ოლქში ნელა და გაუბედავად ხდება უპარტიოთა დაწინაურება ხელმძღვანელ საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე; ცენტრალურ კომიტეტს აქვს ფაქტები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ამ გაუბედაობას ხელმძღვანელ საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე უპარტიოთა დაწინაურებაში ადგილი აქვს აგრეთვე მრავალ სხვა პარტიულ ორგანიზაციაში.

საქართველოში დიდი მუშაობაა გაწეული უპარტიო აქტივთან მუშაობისა და უპარტიოთა ხელმძღვანელ საბჭოთა-სამეურნეო სამუშაოზე დაწინაურების მხრივ მთელ რიგ რაიონებსა და სახალხო კომისარიატებში. კერძოდ უმღელესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო კამპანიის პროცესში გაიზარდა და დაწინაურდა მრავალი ახალი ძალა, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკი, რომელნიც ახლა სერიოზულ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან. მაგრამ ყველაფერი ამით როდი ამოიწურება. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

ფაქტია, რომ ადგილებზე უპარტიოთა დაწინაურება ზოგან გაუბედავად ხდება; ფაქტია, რომ ზოგან, დაწინაურებენ რა მუშაკებს ამა თუ იმ სამუშაოზე, შემდეგ ვეღარ ეხმარებიან კონკრეტულად და ნაცვლად მზრუნველობის იჩენენ მათდამი; ფაქტია, რომ ზოგან უპარტიო აქტივთან, პარტიის რეზერვთან — თანამგრძნობებთან და კომკავშირელებთან მუშაობა არ ატარებს სისტემატურ ხასიათს, სუსტია მასობრივ - პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა მათ შორის.

ეს ნაკლოვანებები დაუყოვნებლივ უნდა გამოვასწოროთ. პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებასა და კომუნისტთა დაწინაურებასთან ერთად,—ჩვენ ორგანიზებულად უნდა მოვაწყოთ უპარტიო აქტივთან მუშაობა და ბოლშევიკურად აღვზარდოთ ისინი: გაბედულად უნდა დავაწინაუროთ ლენინ - სტალინის პარტიის ერთგული უპარტიო ადამიანები, ახალი კადრები და დავეხმაროთ მათ პრაქტიკულ მუშაობაში. პარტიის რეზერვთან — ლენინურ კომკავშირთან და თანამგრძნობებთან მეტი მზრუნველობით, მეტი სერიოზულობით და გულმოდგინებით უნდა ვიმუშაოთ. ისინი კი ცოტანი როდი არიან.

„დაევალოთ საოლქო და სამხარეო კომიტეტებს და ნაციონალური კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს ბოლო მოუღონ გაუბედაობას უპარტიო მუშაკთა დაწინაურების საქმეში და უზრუნველჰყონ პარტიის ერთგულ და ნიჭიერ უპარტიო მუშაკთა უფრო ფართოდ და გაბედულად დაწინაურება ხელმძღვანელ საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე როგორც ოლქში, ისე რაიონებშიაც. რაიონებში აუცილებელია მხედველობაში იქონიონ უპარტიოთა დაწინაურება ისეთ თანამდებობებზე, როგორიცაა რაიმიწგანის გამგე, რაიჯანგანყოფილების გამგე, სახალხო განათლების რაიგანყოფილების გამგე, მტს-ის დირექტორი, საწარმოს დირექტორი, სახალხო მოსამართლე“,— ასეთი დირექტივა მოგვცა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა უპარტიოთა დაწინაურების შესახებ ხელმძღვანელ საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე. იგი განუხრელად უნდა განვახორციელოთ.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნებისას, რაც ჩატარდება პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის შემდგომი ყოველმხრივი აღმავლობის, მასებთან პარტორგანიზაციათა კავშირის განმტკიცებისა და იმ პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების წარმატებით შესრულების ნიშნით, რომლებიც პარტორგანიზაციების წინაშე დგანან,—აუცილებლად უნდა მივაქციოთ სერიოზული ყურადღება პარტიის რეზერვთან—თანამგრძნობებთან და კომკავშირთან მუშაობის, უპარტიო აქტივთან მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესების საქმეს.

კიდევ უფრო გავამახვილოთ რევოლუციური შემტევი სიფხიზლე, გავანადგუროთ ხალხის საზიზღარი მტრების ნაბოლარები და მათი ხელისშემწყობნი, ბოლშევიკურად აღვზარდოთ და დავაწინაუროთ ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი ნამდვილად ერთგული ადამიანები, ახალი კადრები,—ასეთია ჩვენი გადაუდებელი ამოცანა, რომელიც განუხრელად უნდა შევასრულოთ.

ექიმთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ინსტიტუტების მუშაკთა სრულიად-საკავშირო თათბირი

ხარკოვი, 30 მარტი (საკდესი). გუშინ გაიხსნა ექიმთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ინსტიტუტების მუშაკთა პირველი სრულიად-საკავშირო თათბირი. თათბირზე მოსმენილ იქნება ექიმთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ლენინგრადის, მოსკოვის ცენტრალური და უკრაინის ცენტრალური ინსტიტუტების მოხსენებები იმის შესახებ, თუ რა გამოცდილება აქვთ მათ სწავლების საქმეში, მეცნიერული მუშაობის დაყენებაში და სხვ. თათბირი განიხილავს აგრეთვე ინსტიტუტების სამუშაო გეგმას 1938 წლისათვის.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის, ტაშკენტის, მინსკის, ნოვოროსიისკის, ოდესისა და სხვ. ინსტიტუტების დირექტორები, სასწავლო ნაწილთა გამგეები და მეცნიერი მუშაკები, აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების წარმომადგენლები.

ინგლისის მთავრობა მფარველობას უწევს ფრანკოს აგენტს

ლონდონი, 30 მარტი (საკდესი). ინგლისის მთავრობამ, — სწერს „ნიუს ქრონიკლი“, — მიუხედავად თავისი განცხადებისა, რომ იგი დიპლომატიურ პრივილეგიებს არ გაავრცელებს გენერალ ფრანკოს აგენტზე ლონდონში ჰერცოგ ალბაზე, ფაქტიურად ისე მიანიჭა მას ეს პრივილეგიები, რომ ამის შესახებ არც კი უცნობებია პარლამენტისათვის. „ნიუს ქრონიკლმა“ გამოაქვეყნა წერილი, რომელიც 4 მარტს მისწერა საგარეო საქმეთა სამინისტრომ ლონდონის საგრაფოს საბჭოს და რომელშიაც ნათქვამია: „ჰერცოგი ალბა და მისი შტატი ოფიციალურად ითვლებიან, როგორც დიპლომატიური წარმომადგენლობა ყოველმხრივ, გარდა სახელწოდებისა, და ინგლისის მთავრობა დასთანხმდა გაავრცელოს მასზე ისეთივე პრივილეგიები და შეღავათები, როგორიც მინიჭებული აქვთ დიპლომატიურ მისიებს ლონდონში“. ეს წერილი, აღნიშნავს „ნიუს ქრონიკლი“, ნათლად მოწმობს ინგლისის მთავრობის უკანდახევას 1937 წლის 11 ნოემბერს ფრანკოსთან დადებული შეთანხმების პირობებიდან. ამ შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ არცერთი მხარე არ მიანიჭებს და არ ეცდება მოითხოვოს თავიანთი აგენტებისათვის დიპლომატიური სტატუტის მინიჭება.

საფრანგეთის მუშები საფრანგეთისა და რესპუბლიკური ესპანეთის საზღვრის გახსნას მოითხოვენ

პარიზი, 29 მარტი (საკდესი). ბულონში (პარიზის გარეუბანი) გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრო რენოს ქარხნებისა და სხვა ქარხნების 30 ათასი მუშა-მელითონე. მიღებული რეზოლუცია სოლიდარობას უცხადებს გაფიცულ მელითონელებს და მოითხოვს, რათა ბლიუმის მთავრობამ აიძულოს მეწარმენი დააკმაყოფილონ გაფიცულთა კანონიერი მოთხოვნები. რეზოლუციაში მუშები მოითხოვენ აგრეთვე საფრანგეთისა და რესპუბლიკური ესპანეთის საზღვრის გახსნას და გამოთქვამენ მზადყოფნას მხარი დაუჭირონ ბლიუმის მთავრობის ყოველგვარ ღონისძიებას, რომელიც საშუალებას მისცემს რესპუბლიკურ ესპანეთს შეისყიდოს იარაღი და სურსათ-სანოვაგე.

ინგლისის მთავრობა მფარველობას უწევს ფრანკოს აგენტს

ლონდონი, 30 მარტი (საკდესი). ინგლისის მთავრობამ, — სწერს „ნიუს ქრონიკლი“, — მიუხედავად თავისი განცხადებისა, რომ იგი დიპლომატიურ პრივილეგიებს არ გაავრცელებს გენერალ ფრანკოს აგენტზე ლონდონში ჰერცოგ ალბაზე, ფაქტიურად ისე მიანიჭა მას ეს პრივილეგიები, რომ ამის შესახებ არც კი უცნობებია პარლამენტისათვის. „ნიუს ქრონიკლმა“ გამოაქვეყნა წერილი, რომელიც 4 მარტს მისწერა საგარეო საქმეთა სამინისტრომ ლონდონის საგრაფოს საბჭოს და რომელშიაც ნათქვამია: „ჰერცოგი ალბა და მისი შტატი ოფიციალურად ითვლებიან, როგორც დიპლომატიური წარმომადგენლობა ყოველმხრივ, გარდა სახელწოდებისა, და ინგლისის მთავრობა დასთანხმდა გაავრცელოს მასზე ისეთივე პრივილეგიები და შეღავათები, როგორიც მინიჭებული აქვთ დიპლომატიურ მისიებს ლონდონში“. ეს წერილი, აღნიშნავს „ნიუს ქრონიკლი“, ნათლად მოწმობს ინგლისის მთავრობის უკანდახევას 1937 წლის 11 ნოემბერს ფრანკოსთან დადებული შეთანხმების პირობებიდან. ამ შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ არცერთი მხარე არ მიანიჭებს და არ ეცდება მოითხოვოს თავიანთი აგენტებისათვის დიპლომატიური სტატუტის მინიჭება.

რუმინეთის ახალი მთავრობა

ბუქარესტი, 31 მარტი (საკდესი). მეფის დავალებით, პატრიარქმა ქრისტეამ შეადგინა ახალი მთავრობა შემდეგი შემადგენლობით: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე—პატრიარქი ქრისტეა, საგარეო საქმეთა მინისტრი—პეტრესკუ-კომნენი, შინაგან საქმეთა მინისტრი და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობათა შემსრულებელი — არმანდ კალინესკუ, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი—მიტიცა კონსტანტინესკუ, შრომისა და სოციალურ საქმეთა მინისტრი—რალეა, გზათა მინისტრი—გელომეჯანუ, ფინანსთა მინისტრი—კანჩიკოვი, იუსტიციის მინისტრი—იამანდი, მიწათმოქმედებისა და კოოპერაციის მინისტრი—იონესკუ-სისეტი, ნაციონალური თავდაცვის მინისტრი — გენერალი არჯესეანუ, ავიაციისა და საზღვაო ფლოტის მინისტრი—გენერალი თეოდორესკუ, ნაციონალური აღზრდის მინისტრი და კულტების დროებითი მინისტრი—ეპისკოპოსი კოლანი.

ძირითადად ახალი მთავრობა შესდგება იმ პირთაგან, რომლებიც წინა კაბინეტის შემადგენლობაში შედიოდნენ ქრისტეას მეთაურობით. საგარეო საქმეთა მინისტრად პეტრესკუ-კომნენის დანიშვნას, რომელსაც რუმინეთის ელჩის თანამდებობა ეკავა ბერლინში, პოლიტიკურ წრეებში აფასებენ, როგორც რუმინეთის საგარეო პოლიტიკის პროგრამანული კურსის გამოხატულებას. ყურადღებას იქცევს ახალ კაბინეტში ნაციონალურ-ცარანისტული პარტიის ორი წარმომადგენლის—გელომეჯუანეს და რალეას შეყვანა, იმ პარტიისა, რომელიც იშლება. ამაში ხედავენ ახალი მთავრობის მისწრაფებას, რომ ქვეყნის შემდგომი ფაშიზაციის ჩატარების დროს გამოყენებულ იქნას ფაშისტური დემაგოგიის მეთოდები გლეხების მიმართ.

პატრიარქ ქრისტეას კაბინეტის შეცვლა არსებითად ფორმალურ ხასიათს ატარებს. ოფიციალურ ცნობებში ნათქვამია, რომ ქრისტეას მთავრობის გადადგომა დაკავშირებულია იმასთან, რომ ამ მთავრობამ შეასრულა თავისი ამოცანა—„აღადგინა წესრიგი ქვეყანაში“ და გაატარა ცხოვრებაში ახალი კონსტიტუცია. ახალი მთავრობა კი იმუშავებს ამ კონსტიტუციის საფუძველზე. როგორც ცნობილია, რუმინეთის ახალმა ფაშისტურმა კონსტიტუციამ დაამყარა მეფის შეუზღუდავი დიქტატურა და სრულებით არარაობად აქცია ყოველგვარი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება სახელმწიფოში. ფაქტიურად არსებობენ და თავის მოქმედებას ანვითარებენ მხოლოდ ფაშისტური ორგანიზაციები. თანახმად ახალი კონსტიტუციისა, მთავრობა სრულებით მეფეზეა დამოკიდებული და პასუხისმგებელია მხოლოდ მის წინაშე.

ახალმა მთავრობამ თავის პირველ სხდომაზე მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, კერძოდ, რუმინეთში ყველა პარტიისა და პოლიტიკური ორგანიზაციების დაშლის შესახებ, მეფის სპეციალური საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ჩამოყალიბების შესახებ.

გამოქვეყნებულ დეკლარაციაში ახალი მთავრობა ხაზს უსვამს, რომ მისი მისწრაფება იქნება შეიარაღების გაძლიერება და ასიგნობების ზრდა არმიისათვის. საგარეო პოლიტიკის საკითხებზე დეკლარაციაში ნათქვამია: „რუმინეთის საგარეო პოლიტიკა, გამომდინარე მისი მუდმივი ნაციონალური ინტერესებიდან, თავის მიზნად ისახავს მშვიდობიანობის შენარჩუნებას და ქვეყნის ტერიტორიის დაცვას მის გარკვეულ საზღვრებში. ეს პოლიტიკა ეყრდნობა რუმინეთის ტრადიციულ მეგობრულ კავშირებს და მის მეგობრულ ურთიერთობას ყველა სახელმწიფოსთან უკლებლივ და პირველ რიგში რუმინეთის მეზობლებთან“.

საფრანგეთის პოლიტიკური წრეები რუმინეთის ახალი კაბინეტის შესახებ

პარიზი, 31 მარტი (საკდესი). საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში სთვლიან, რომ რუმინეთის ახალი კაბინეტი, რომელსაც პატრიარქი ქრისტეასი მეთაურობს, რუმინეთის შემდგომი ფაშიზაციის გამომხატველია. აღნიშნავენ, რომ ახალი კაბინეტის პირველი ნაბიჯი იყო პოლიტიკური პარტიების დაშლა, რამაც ზიანი მიაყენა ლიბერალთა ლეგალურ პარტიებს, ნაციონალ-ცარანისტებს და ფაშისტურ ორგანიზაციებს კი არ შეხებია.

ზოგიერთ პოლიტიკურ წრეებში შენიშნავენ, რომ რუმინეთის ახალი კაბინეტი არის შედეგი იმ ზეგავლენისა, რასაც „რკინის გვარდია“ მეფეზე ახდენს. აღნიშნული წრეები ხაზს უსვამენ, რომ „რკინის გვარდია“ ემყარება ჰიტლერის გერმანიის ფართო მატერიალურ და სხვა დახმარებას. „ეერი“ სწერს, რომ რუმინეთის საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი პეტრესკუ კომნენი გერმანოფილია და იგი ჰიტლერის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების მომენტიდან ბერლინში რუმინეთის ელჩად იყო.

„ბერლინი,—განაგრძობს გაზეთი,—ცდილობს იშოვნოს რუმინეთის ნავთი, რომელიც გერმანიისათვის დიდი ომის მოსამზადებლად არის საჭირო“.

აჯანყება იზვალიის ჯარებს შორის

პარიზი, 31 მარტი (საკდესი). ესპანეთის სააგენტოს გიბრალტარელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ 23 მარტს კადიქსში აჯანყებამ იფეთქა იტალიის ჯარებს შორის, რომელნიც საგარნიზონო სამსახურს ეწევიან. ჯარისკაცებმა უარი სთქვეს ჩამსხდარიყვნენ მატარებელში, რომელსაც ისინი ფრონტზე უნდა მიეყვანა. აჯანყება ჩაახრეს. 200 ჯარისკაცი საპყრობილეში ჩასვეს.

ნაციონალური თავდაცვის მინისტრის მოწოდება

პარიზი, 30 მარტი (საკდესი). ესპანეთის სააგენტოს ბარსელონელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ნაციონალური თავდაცვის მინისტრმა მიმართა მუშათა საერთო კავშირსა და შრომის ნაციონალურ კონფედერაციას წერილით, რომელშიც ამ ორგანიზაციის ყველა წევრს მოუწოდებს სამრეწველო წარმოების ტემპების გაძლიერებისაკენ.

გმირ-პაპანინელებს კიევის ასიათასობით მშრომელი შეხვდა

კიევი, 31 მარტი (საკდესი). ელვისებური სისწრაფით მოედო საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის მშრომელებს ამბავი იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხალხის სახელოვანი შვილები, გულადი პოლარელები — ამხანაგები პაპანინი, კრენკელი, შირშოვი და ფედოროვი ჩამოდიან კიევში.

ჯერ კიდევ დილიდან ქალაქი სადღესასწაულოდ მოირთო. ყველგან ფრიალებს წითელი დროშები, გამოფენილია პარტიისა და მთავრობის ბელადთა, გმირ-პაპანინელთა პორტრეტები, ლოზუნგები, და ტრანსპარანტები მისალმებებით არქტიკის ყინულოვანი სივრცეების დამპყრობთა მიმართ. დიდ პანოებზე გამოხატულია სადგური „ჩრდილოეთის პოლუსი“ მოდრეიფე ყინულზე.

მუშაობის დამთავრებისთანავე ქარხნების, ფაბრიკების და დაწესებულებათა მშრომელები, სტუდენტები, მოწაფეები, პიონერები დროშებით, პორტრეტებითა და ყვავილებით ორგანიზებულად გაემართნენ სადგურისაკენ სახელოვანი გმირების შესახვედრად. ორი საათით ადრე მატარებლის მოსვლამდე ვაგზლის წინ მდებარე ქუჩებზე ათი ათასობით იყვნენ გამწკრივებული კიეველი მოქალაქეები.

ვაგზლის ბაქანზე თავი მოიყარეს საწარმოთა სტახანოველებმა, პარტიული, საბჭოთა და პროფესიული ორგანიზაციებისა და პრესის ათასამდე წარმომადგენლებმა.

6 საათსა და 17 წუთზე მატარებელი წყნარად მიუახლოვდა ბაქანს. ვაგონიდან გამოდიან საბჭოთა კავშირის გმირები ამხ. ამხ. პაპანინი, კრენკელი, შირშოვი და ფედოროვი.

თბილი და სიხარულით ამაღელვებელი მისალმებანი. თვითეულს სურს ხელი ჩამოართვას არქტიკის სახელოვან დამპყრობელებს, გამოსთქვას თავისი აღტაცება და სიხარული.

გმირები მასპინძლებთან ერთად უახლოვდებიან საპატიო ყარაულს. პოლკოვნიკი აფანასიევი აძლევს პატაკს. შემდეგ პაპანინელები გამოდიან ვაგზლის წინ მდებარე მოედანზე. „ურას“ ძახილი უერთდება ორკესტრების ხმას.

აქვე მოედანზე გაიმართა მიტინგი. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ უკრაინის კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივნის მოვალეობათა ამსრულებელი ამხ. ბურმისტენკო, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ბოგომოლეცი, აკადემიკოსი ტიჩინა. მშუხარე ოვაციებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის გმირს ამხ. ი. დ. პაპანინს, რომელიც გამოვიდა დიდი სიტყვით. შემდეგ გამოვიდნენ ამხ. ამხ. კრენკელი, შირშოვი და ფედოროვი. ისინი მადლობას უძღვნიდნენ აყვავებული უკრაინის სატახტო ქალაქის მშრომელებს მხურვალე შეხვედრისათვის და აცხადებდნენ, რომ სუსხიანი არქტიკის ყინულოვან სივრცეებში მათ ამხნევებდა ის აზრი, რომ ისინი ასრულებენ პარტიისა და მთავრობის დიდ დავალებას, მშრომელთა საყვარელი ბელადის მშობლიური სტალინის დაკვალებას.

ვაგზლიდან გმირი პაპანინელები, რომელთაც აღტაცებული ოვაციებით ხვდებოდა მთელი მოსახლეობა, კიევის საფეხ ქუჩებით გაემართნენ „დინამოს“ სტადიონისაკენ, სადაც მოხდა მათი შეხვედრა ქალაქის მშრომელებთან, უკრაინის სსრ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან.

ვაგზლის წინა მოედანზე და ქალაქის ქუჩებში გმირ პაპანინელებს შეხვდა ასიათასობით კიეველი მოქალაქე.

„ჩრდილოეთის პოლუსის“ სადგურის მოწყობილობის გამოფენა

მოსკოვი, 31 მარტი (საკდესი). ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველომ გადასცა მოსკოვის პოლიტექნიკურ მუზეუმს სპეციალურ გამოფენაში საჩვენებლად მოდრეიფე სადგური „ჩრდილოეთის პოლუსის“ მოწყობილობა. გუშინ მუზეუმში მიიტანეს პაპანინელთა კარავი, მთელი რადიომოწყობილობა ერნსტ კრენკელის ჟურნალის ჩათვლით, ჯალამბარი, ჭარძრავა, ბაიდარა, რეზინის ორი ნავი, 9 მარხილი, მამაცი ოთხეულის ტანსაცმელი, საძილო ტომრები, დარჩენილი საკვები კონცენტრატები, საყოფაცხოვრებო ნივთები, რომლებითაც სარგებლობდნენ პაპანინელები მოდრეიფე ყინულზე — ლამპები, პრიმუსები, კარდილები, ჩაიდნები და სხვა.

„ჩრდილოეთის პოლუსის“ სადგურის მოწყობილობის გამოფენა უახლოეს ხანში გაიხსნება მუზეუმში.

„ნ—209“ თვითმფრინავის ძებნა

მფრინავ ამხ. მოჭკოვსკის გაფრენა

მოსკოვი, 31 მარტი (საკდესი). 31 მარტს თვითმფრინავი „ნ—212“, რომელსაც მართავდა ორდენოსანი მფრინავი ამხ. მოჭკოვსკი, 7 საათსა და 45 წუთზე აფრინდა რუდოლფის კუნძულიდან ამხ. ლევანევსკის „ნ—209“ თვითმფრინავის საძებნად.

მოჭკოვსკი გაემართა ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონში გრენლანდიიდან, რადგანაც ყინულების დრეიფს შეეძლო „ნ—209“ თვითმფრინავის ამ მიმართულებით წაღება. კარგი ხილვადობის პირობებში დათვალიერებულია რაიონი რუდოლფის კუნძულიდან ნოლ მერედიანამდე და ნოლ მერედიანით. 84 გრადუსსა და 6 წუთიდან ჩრდილოეთის განედის 82 გრადუსამდე და 20 წუთამდე. შემდეგ მოჭკოვსკი გამობრუნდა რუდოლფის კუნძულისაკენ, სადაც დაეშვა 16 საათსა და 45 წუთზე.

მთელს დათვალიერებულ რაიონში „ნ—209“ თვითმფრინავის კვალი არ არის აღმოჩენილი.

მოდრეიფე ყინულმჭრელებზე

29 მარტს მოსკოვში „სადკოს“ გემბანიდან მიღებულია რადიოგრამა, სადაც იუწყებიან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ მოდრეიფე ყინულმჭრელების „სადკოს“ „სედოვისა“ და „მალიგინის“ ახალ კოორდინატებს. 29 მარტს ხომალდები იმყოფებოდნენ ჩრდილოეთის განედის 78 გრადუსსა და 49 წუთზე და აღმოსავლეთის გრძედის 152 გრადუსსა და 30 წუთზე.

მოდრეიფე ყინულმჭრელთა რაიონში მოწმენდილი ამინდია. ყინვა 27,5 გრადუსს აღწევს. აღმოსავლეთით ჰქრის 1 ბალიანი ქარი.

გემებზე მყოფი მეცნიერი მუშაკები განაგრძობენ თავიანთ მუშაობას. (საკდესი).

აზერბაიჯანის ხელოვნების დეკადის მონაწილენი ჩავიდნენ მოსკოვს

30 მარტს საღამოთი სპეციალური მატარებლით ბაქოდან მოსკოვში ჩამოვიდნენ აზერბაიჯანის ხელოვნების დეკადის მონაწილენი. დეკადა იწყება 5 აპრილს. მატარებლის შესახვედრად კურსკის ვაგზლის ბაქანზე შეიკრიბნენ ხელოვნების საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტის, სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის, სსრ კავშირის გორკის სახელობის ლენინის ორდენოსანი მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრისა და სატახტო ქალაქის სხვა თეატრებისა და აგრეთვე პრესის წარმომადგენლები.

სულ მოსკოვში ჩამოვიდა 700 კაცამდე მ. ფ. ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობები, აზერბაიჯანის სახელმწიფო ფილარმონიის კოლექტივები, კომპოზიტორები, აშუღები.

მ. ფ. ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობები პირველ აპრილს იწყებენ ოპერა „ჭორ-ოღლის“ რეპეტიციას. ამ ოპერით იხსნება აზერბაიჯანის ხელოვნების დეკადა. დეკადისათვის წარმოებულმა მოსამზადებელმა მუშაობამ გამოიწვია უდიდესი აღტაცება აზერბაიჯანის ხელოვნების მუშაკთა შორის,—განაცხადა ასსრ სახ. კომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მირზა აჟდარ-ზადე იბრაჰიმოვმა საკდესის თანამშრომელთან საუბარში. — ყველა ესწრაფოდა საბჭოთა კავშირის სატახტო ქალაქში ჩამოსვლას, რათა წარმატებით მიეღო მონაწილეობა აზერბაიჯანის ხალხთა ხელოვნების ოსტატთა შემოქმედების ანგარიშში.

თბილისის ავჭოსარემონტო ქარხანამ შეასრულა კვარტალური გეგმა

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა, რომელსაც ხელმძღვანელობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ვ. სალაძე, საწარმოო ენტუზიაზმის გაჩაღებით, მავნებლობის შედეგების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებით ამ წლის მანძილზე პირველად მიაღწია კვარტალური გეგმის შესრულებას.

ქარხანას მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გეგმით 410 ავტომანქანა უნდა შეეკეთებინა. ეს გეგმა უკვე შესრულებულია; ქარხანამ 410 ავტომანქანა უკვე შეაკეთა და გამოუშვა.

პარტიული ცხოვრება

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების მეცადინეობა

მოსკოვი, 1 აპრილი (საკდესი) 1938 წლის 20-დან 29 მარტამდე საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტებში დაიწყო მოსკოვის ორგანიზაციის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების მეცადინეობა.

მეცადინეობაზე მოხსენებებით გამოვიდნენ: სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამხ. **ვოზნესენსკი**—„მეორე ხუთწლედის შედეგების და 1938 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ“, სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. **ეიხე** — „სოფლის მეურნეობის მორიგი ამოცანების და 1938 წლის სასოფლო-სამეურნეო მუშაობათა გეგმის შესახებ“, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **სიდოროვი**—„ქალაქ მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის და 1938 წლისათვის მოსკოვის საბჭოს მეურნეობის გეგმის შესახებ“, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. **ლიტვინოვი**—„საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ“, კომინტერნის აღმასკომის წევრი ამხ. **მანუილსკი** — „მოძმე კომპარტიების მუშაობისა და მთლიანი ფრონტისათვის ბრძოლაში კომინტერნის ამოცანების შესახებ“, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **ზაკოვსკი** —„უცხოეთის დაზვერვათა ტროცკისტულ-ბუხარინული აგენტების ჯაშუშური, დივერსიული და მავნებლური მუშაობის მეთოდების შესახებ“.

მეცადინეობაში მონაწილეობას იღებდნენ საკ. კ. პ. (ბ) ქალაქ მოსკოვის რაიკომების პირველი, მეორე და მესამე მდივნები, ოლქის რაიკომების პირველი მდივნები, უმთავრეს საწარმოთა პარტიული კომიტეტების მდივნები, ქალაქ მოსკოვის და მოსკოვის ოლქის უმაღლეს სასწავლებელთა და დაწესებულებათა პარტიული კომიტეტის მდივნები და აგრეთვე საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის განყოფილებათა გამგეები, გამგეების თანაშემწენი და ინსტრუქტორები. თვითეულ მეცადინეობას 600-მდე ამხანაგი ესწრებოდა.

მეცადინეობის დამსწრეთა შორის მოხსენებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მომხსენებლებს მრავალი შეკითხვა მისცეს, რაზედაც გაცემულ იქნა დაწვრილებითი პასუხი.

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტი და მოსკოვის საქალაქო კომიტეტი უახლოეს დროში ჩაატარებენ მეცადინეობას მოსკოვის ორგანიზაციის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკებისთვის პარტიული მშენებლობისა და წითელ არმიაში პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობის საკითხებზე.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს პარტიული ორგანიზაციის პარტორგანიზატორი ამხ. ხომერიკი აგიტატორებს ნ. მეძველიას და ვ. შიმანსკის კონსულტაციას უწევს საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების საკითხებზე. („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ნ. სადაღაშვილი მიღებულია პარტიაში

გორი, 31 მარტი (საქდესი). საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომმა საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ნატალია სადაღაშვილი.

ამხ. ნატალია სადაღაშვილი არის მემინდვრეობის ოსტატთა, მეჭარხლე სტახანოველ ხუთასოვანთა საკავშირო შეკრების მონაწილე.

1934 წლიდან ამხ. ნ. სადაღაშვილი მუშაობდა თანამგრძნობთა ჯგუფში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა პარტიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამხ. ნ. სადაღაშვილი 1930 წლიდან არის სოფ. ქახვრელის კოლმეურნეობის უცვლელი ბრიგადირი და ქახვრელის სოფ. საბჭოს წევრი.

პარტიაში მიღებას ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ

(ჭიათურა, საქ. კომრესპოდენტისაგან)

პარტიაში მიღების განახლებიდან 1938 წლის 20 მარტისათვის ჭიათურის რაიონში პარტიაში მიღებული ია 201 კაცი, აქედან პარტიის წევრობის 71 კანდიდატი გადარიცხული წევრად. საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიღებულია 130 ამხანაგი. მიღებული წევრებიდან და კანდიდატებიდან 99 კომკავშირელია.

საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის ყოფილი „ხელმძღვანელობა“ განგებ აჭიანურებდა პარტიაში ახალ წევრთა მიღების საქმეს. ამით აიხსნება, რომ 1938 წლის პირველ იანვრამდე, ე. ი. პარტიაში მიღების განახლებიდან 14 თვის განმავლობაში, მხოლოდ 90 ამხანაგი იქნა პარტიაში მიღებული.

რაიონის ზოგიერთმა პარტორგანიზაციამ ჯერ კიდევ ვერ გარდაჭრა მუშაობა. მაგალითად, სატრანსპორტო განყოფილებასთან არსებულმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ლ. ბადუაშვილი) მას შემდეგ, რაც პარტიაში მიღება განახლდა, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიიღო მხოლოდ ორი კაცი.

უფრო მეტი. შუქრუთის წითელი არმიის და ჩიხის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობებთან არსებულ პირველადს პარტორგანიზაციებს დღემდე ერთი კაციც არ მიუღიათ პარტიაში.

მარგანტრესტის მომარაგების განყოფილებასთან არსებულმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ გ.-წ. მარტში საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიიღო მოწინავე მუშა მოსე ებანოიძე, რომლის საქმეები გადაეცა რაიკომის სააღრიცხვო განყოფილებას. უკვე წელიწადი გავიდა, რაც ებანოიძის საქმე რაიკომში დევს, მაგრამ მის გარჩევას არა ეშველა რა. ამბობენ, ებანოიძის საქმე დაიკარგაო. ასეთ უმსგავსობას ბოლო უნდა მოეღოს.

მ. გაფრინდაშვილი

უდანაშაულოდ გარიცხულნი უნდა დავაბრუნოთ პარტიაში

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის ყოფ. „ხელმძღვანელები“ პარტიის თვითეული წევრისადმი, მისი ბედიღბლისადმი აშკარა ფორმალურ-ბიუროკრატიულ, ჭარაფშუტულ დამოკიდებულებას იჩენდნენ. სრულიად უდანაშაულოდ და დაუსაბუთებლად პარტიიდან რიცხავდნენ და სამუშაოდან ხსნიდნენ პარტიის ერთგულ წევრებს.

ეს ყალთაბანდები მოჩვენებითი ყალბი სიფხიზლით ჰფარავდნენ საკუთარ ბოროტმოქმედებებს.

ნ. ჭათამაძე — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1905 წლიდან, მწონავად მუშაობდა. მას ცილი დასწამეს, თითქოს კავშირი ჰქონდა ხალხის მტერთან.

თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის სტახანოველი მუშა-ქალი, კომკავშირელი, ნათელა ორახელაშვილი და კომორგანიზატორი თამარ ცქვიტინიძე, რომლებიც ახლახან მიიღეს პარტიის წევრობის კანდიდატებად, გლობუსზე სწავლობენ ქვეყნების ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას.

ფოტო რ. აკოფოვისა

საკ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის ყოფ. „ხელმძღვანელობა“ პარტიული ორგანიზაციის შეუკითხავად პარტიის რიგებიდან გარიცხეს პარტიის წევრი ამხ. დ. სვანიძე. მას ცილი დასწამეს, თითქოს კავშირი ჰქონდა ხალხის მტერთან.

განიზრახეს პარტიის წევრის ამხ. ვ. კუხალეიშვილის პარტიის რიგებიდან გარიცხვა, გაუხსენეს 1929 წელს დათრობა, დაბრალეს, თითქოს 1.400 მანეთი არადანიშნულებისამებრ დახარჯა და სრულიად უღუმრწმებლად პარტიიდან გარიცხეს და კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდანაც გადააყენეს.

ამხ. ვ. ბიჭიაშვილი პარტიის რიგებიდან გარიცხეს და სამსახურიდან მოხსნეს იმ მიზეზით, თითქოს მან იცოდა და არ ამხილა ხალხის მტერი. ცილი დასწამეს, თითქოს ხშირად ქეიფობდა ხალხის მტრებთან, ამხ. ვ. ბიჭიაშვილი დღესაც უმუშევრადაა.

ასევე უმართებულოდ გარიცხეს პარტიის რიგებიდან საუკეთესო მუშაკები ვ. მარჯანიშვილი და ი. ცაგარეიშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის ახალმა ხელმძღვანელობამ იანვრის პლენუმის ისტორიული დადგენილების საფუძველზე ხელახლა განიხილა ამხ. მარჯანიშვილისა და ცაგარეიშვილის საქმე და კვლავ დააბრუნა ისინი პარტიის რიგებში.

მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა დაუყოვნებლივ განხილულ იქნას ყველა იმათი საქმე, ვინც ტყუილუბრალოდ, ცილისწამების ნიადაგზე გაირიცხა პარტიიდან, ხოლო ცილისმწამებლები პასუხისგებაში მისცენ.

ნ—ლი.

ბრძოლა ტროცკისტ-ბუხარინელ ჯაშუშებთან

უფრო გაბედულად გავშალოთ ბოლშევიკური თვითკრიტიკა!

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით აპრილ-ივნისის პირველი ნახევრის პერიოდში ჩატარდება ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნები ყველა პირველად, რაიონულ, საქალაქო, საოკრუგო, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ პარტიულ ორგანიზაციაში.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიას, რომელიც ამ დღეებში იწყება, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიისა და მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მოისმინონ თავისი ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშები, ღრმად და სერიოზულად განიხილონ ისინი და ხელმძღვანელებად აირჩიონ ნაკადი, ერთგული ბოლშევიკები, რომლებიც გამობრძმედილი არიან ხალხის მტრებთან ბრძოლაში და რომლებსაც შესწევთ უნარი ბოლომდე დაიცვან ლენინ-სტალინის პარტიის დიდი საქმე.

ჩვენი პარტია თავის რიგებში აერთიანებს საბჭოთა ხალხის საუკეთესო შვილებს. პარტიული ორგანიზაციის—დიდის თუ პატარის—ხელმძღვანელად ყოფნა უდიდესი პატივია. ამ პატივის ღირსი არიან მხოლოდ ისინი, ვისაც შესწევს უნარი ყური უგდოს პარტიული და უპარტიო მასების ხმას, შეისისხლხორცოს და ცხოვრებაში განახორციელოს მათ მიერ დაგროვილი გამანტური გამოცდილება. ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ძალა ხომ მასებთან მჭიდრო, განუყრელ კავშირშია.

„საჭიროა ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნები ჩატარდეს შინაპარტიული დემოკრატიის მტკიცე დაცვისა და ბოლშევიკური კრიტიკის და თვითკრიტიკის გაბედული გაშლის საფუძველზე“,—ნათქვამია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში.

შინაპარტიული დემოკრატიის ერთერთი საფუძველია პარტიული ორგანოების ანგარიშგება იმ მასების წინაშე, რომლებმაც ისინი აირჩიეს. ამიტომ აუცილებელია, რომ ყველა საარჩევნო კრებაზე მოსმენილ და განხილულ იქნას პარტორგანებისა და პარტიული კომიტეტების მდივნების ანგარიშები. ანგარიშებისათვის მზადებისას, პარტიულმა კომიტეტებმა უნდა მოაწყონ პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება და ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში ჩააბან პარტიის წევრთა ფართო მასები. ანგარიში ფორმალობა როდია. მისი განხილვა გვიჩვენებს ამა თუ იმ ორგანიზაციის სახეს, აძლიერებს მასების აქტივობას, იძლევა გასაღებს პარტიული ცხოვრების გაცხოველებისათვის.

ზოგჯერ ზოგიერთ ადგილობრივ პარტიულ ორგანოს წინდაწინ გადაჰყავს სხვაგან ის პარტიული მუშაკები, რომლებმაც თავისი დანიშნულება ვერ გაამართლეს, რათა ააშოროს მათ მასების კრიტიკის ცეცხლი. ეს უვარგისი, არაბოლშევიკური პრაქტიკაა! ამხანაგი სტალინი მოხსენებაში პარტიის ც. კ-ის თებერვალ-მარტის პლენუმზე მიგვითითებდა, რომ ნამდვილი ზრუნვა კადრებზე იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მივაფუჩეჩოთ მათი შეცდომები, არამედ იმაში, რომ ამ შეცდომებზე ვასწავლოთ ადამიანებს. ხოლო შეცდომების გამოაშკარავება ხდება გაბედული, ბოლომდე გულახდილი, ნამდვილად ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გზით.

„თვითკრიტიკის ლოზუნგი რაღაც წუთიერი და სწრაფწარმავალი როდია. თვითკრიტიკა არის განსაკუთრებული მეთოდი, ბოლშევიკური მეთოდი პარტიისა და საერთოდ მუშათა კლასის კადრების აღზრდისა რევოლუციური განვითარების სულისკვეთებით.

...თვითკრიტიკას თავის მიზნად აქვს ჩვენი შეცდომების, ჩვენი სუსტი მხარეების გამოაშკარავება და ლიკვიდაცია,—განა ცხადი არ არის, რომ თვითკრიტიკის პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში შეუძლიან მხოლოდ გააადვილოს მუშათა კლასის მტრებთან ბოლშევიზმის ბრძოლის საქმე?“ (სტალინი).

სტალინის ეს სიტყვები, რომლებიც დაწერილია ათი წლის წინათ, უაღრესად მტკიცედ უნდა დაიხსომოს ჩვენი პარტიის თვითეულმა წევრმა!

ბოლშევიკური თვითკრიტიკა პარტიული მოქმედების საფუძველია. იგი წარმოადგენს პარტიის მძლავრ იარაღს მტრებთან ბრძოლაში, მთელი პარტიული მუშაობის გაუმჯობესების ნაცად საშუალებას, ჩვენი წინსვლის ერთერთ მთავარ მეთოდს. ტყუილად კი არ იყო, რომ ხალხის უბოროტესი მტრები, ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტი დაქირავებულნი, აქა-იქ პარტიულ აპარატში შემძვრალნი, ყოველნაირად ახშობდნენ თვითკრიტიკას, ნერგავდნენ ნათლიმამობის, ფლიდობის, თავგასულობის საზიზღარ ჩვეულებებს. გამცემლები სარგებლობდნენ იმით, რომ ბევრმა ხელმძღვანელმა დაივიწყა თვითკრიტიკა და ყურადღებას არ აქცევდა ქვემოდან მომდინარე სიგნალებს.

პარტიამ გაანადგურა მტრის ძირითადი ბუდეები. მან ხელმძღვანელობამდე აამაღლა ათიათასობით ახალი ადამიანები, სტალინური ცენტრალური კომიტეტის, კომუნიზმის საქმის ბოლომდე ერთგულნი. მასების მრავალი ნაჭიერი და თავდადებული ხელმძღვანელი დაწინაურდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში, კამპანიის, რომელიც უდიდესი იყო ჩვენი პარტიის მიერ 20 წლის მანძილზე ჩატარებული ყველა კამპანიიდან.

„უნარიანი ადამიანები, ნიჭიერი ადამიანები ჩვენ ათიათასობით გვყავს. საჭიროა მხოლოდ ვიცნობდეთ მათ და დროულად ვაწინაურებდეთ, რომ მათ ძველ ადგილზე ხავსი არ მოეკიდოთ და ლპობა არ დაიწყონ“.

გასულმა წელმა ბრწყინვალედ დაადასტურა ამხანაგი სტალინის ამ სიტყვების მთელი სიმართლე. საჭიროა შემდეგშიაც გაბედულად და ფართოდ ავამაღლოთ პარტიულ ხელმძღვანელობამდე და ყველა სახის პარტიულ მუშაობაში ჩავაბათ ახალი, გაზრდილი კადრები.

კრიტიკა ხელმძღვანელებისა, რომლებიც ბოლშევიკური პარტიის სამედო, ბოლომდე ერთგული შვილები არიან, ამხანაგური და ქმედი უნდა იყოს. ახალ ხელმძღვანელებს ესაჭიროებათ არა „ახალგაზრდობის გამო შეღავათები“, არამედ სერიოზული დახმარება იმაში, როგორც ზეშდგომი ორგანოების მხრივ, ისე პარტიული მასების მხრივიც. და ამასთან ერთად ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაბედულად გაშლა აამაღლებს რევოლუციურ სიფხიზლეს, დაგვეხმარება აღმოვაჩინოთ და აღმოვფხვრათ ჯერ კიდევ გამოუმჟღავნებელი მტრები და მათი მფარველები.

არჩევნები პარტიულ ხელმძღვანელთა ღრმა შემოწმება იქნება. ბოლშევიკური თვითკრიტიკის ცეცხლი დაგვეხმარება ყოველივე დამპალის, უვარგისის მოსპობაში. და იგივე ცეცხლი კიდევ უფრო მეტად გამოაწრთობს ნამდვილად ღირსეულ მუშაკებს, ჭეშმარიტ ბოლშევიკებს, რომლებსაც შესწევთ მეგობრისაგან მტრისა და მტრისაგან მეგობრის გარჩევის უნარი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა გადაჭრით გააკრიტიკა პარტიული ორგანიზაციების მიერ პარტიიდან კომუნისტთა გარიცხვის დროს დაშვებული სერიოზული შეცდომები და დამახინჯებანი.

ამ შეცდომების გამოსწორება, გამომჟღავნება კარიერისტებისა, ცილისმწამებლებისა და პროვოკატორებისა, რომლებიც ცდილობდნენ გაეწყვიტანათ ჩვენი ბოლშევიკური კადრები, ჩვენს რიგებში დაეთესლათ რწმენის უქონლობა და ზედმეტი ეჭვიანობა,—ყველგან როდი მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად. საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ ბოლომდე უნდა გამოააშკაროს ამ მუშაობის ნაკლოვანებანი და ხელი შეუწყოს მათს თავიდან აცილებას.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ინსტრუქციაში ნათქვამია: „საანგარიშო მოხსენებათა წინასწარი განხილვა პარტიის კომიტეტთა პლენუმებზე არ არითმევს უფლებას ამ კომიტეტთა პლენუმის წევრებს გამოვიდნენ პარტიული კრებებსა და კონფერენციებზე პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის კრიტიკით“.

თუ პარტიული კომიტეტის წევრი ხედავს ნაკლოვანებებს კომიტეტის ან მისი მდივნის მუშაობაში, მას სრული უფლება აქვს—უფრო მეტიც, იგი როგორც ბოლშევიკი მოვალეა—მთელი ხმით სთქვას ამ შეცდომების შესახებ, მათი თავიდან აცილების ზომების შესახებ.

მთელ რიგ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის მავნე თვითდამშვიდება. მაგალითად ავილიჩოვის კომიტეტი. ოლქში ცუდად მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვისათვის მზადება, ძლიერ ნელა სწარმოებს მტრული მუშაობის შედეგების ლიკვიდაცია. საოლქო კომიტეტის პლენუმზე კი გამეფებულია გულდამშვიდების განწყობილება, არ არის მუშაობაში დაშვებული შეცდომებისა და ნაკლოვანებების მწვავე, კონკრეტული კრიტიკა, არ ასახლებენ უვარგისი მუშაკების გვარებს!

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ ხელი უნდა შეუწყოს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომს ყოველმხრივ აღმავლობას, მასებთან პარტიის კავშირის უფრო მეტად განმტკიცებას, მორიგი პოლიტიკური და საბუღრნეო ამოცანების წარმატებით შესრულებას. ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაბედულად გაშლის საფუძველზე ჩატარებული არჩევნები ხელმძღვანელი პარტიული ორგანოებისა კიდევ უფრო გააღიდებს ლენინ-სტალინის პარტიის ძალასა და ძლიერებას, პარტიის, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ურყევი ავტორიტეტითა და მთელი ხალხის სიყვარულით სარგებლობს.

„პრავდის“ მოწინავე 31/III

მუსოლინის მუქარა საფრანგეთის მისამართით

ლონდონი, 31 მარტი („პრავდის“ საკ. კორ.). ინგლისის პრესა ზედმიწევნით გადმოსცემს და ფართო კომენტარიებს უკეთებს გუშინ მუსოლინის მიერ სენატში წარმოთქმულ სიტყვას.

ეს სიტყვა აშკარა მუქარას შეიცავს, კერძოდ, საფრანგეთის მისამართით. მუსოლინი ამბობდა „სწრაფი ომის“ მომზადების შესახებ. იტალიური ფაშიზმის შესაძლებლობათა შეფასებაში ამ გამოსვლას მოკრძალება როდი ახასიათებდა. მობილიზებული იქნება „9 მილიონი ადამიანი“. იტალიას აქვს „მსოფლიოში ყველაზე უფრო ძლიერი საჰაერო ფლოტი“. „ყველაზე თანადროული მრავალი ათასი თვითმფრინავი“ სიკვდილს დასთესს მტრის ქვეყნის ქალებსა და ბავშვებს შორის. ამ ომში მონაწილეობას მიიღებს „მსოფლიოში ყველაზე ძლიერი წყალქვეშა ფლოტი“, იტალიას აქვს 870 სამხედრო ჭარხანა, უდიდესი სამხედრო ხომალდები, „სპეციალურად გამაგრებული“ ბაზები ხმელთაშუა ზღვაში და სხვ.

„იტალიის ძლიერების“ დასამტკიცებლად მოყვანილ იქნა ცინიკური მითითებაც იმაზე, რომ იტალიის არმიის ათასობით ოფიცრები ომობენ ესპანეთში და რომ იტალიის ყუმბარმხიდები „იქ გაპარტახებას იწვევენ“.

ინგლისში ამ სიტყვამ საკმაოდ არასასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა და ერთგვარი შეშფოთება გამოიწვია.

„მართალია, ყეფა ჯერ კიდევ არ ნიშნავს კბენას, — სწერს დღეს „დეილი ჰერალდი“ მოწინავეში, — მაგრამ აბისინიასა და ესპანეთში მუსოლინი გაცოფებით და გამცემლურად იკბინებოდა...

ახლა ის აშკარად აღიარებს, რომ ეს სამხედრო კამპანიები მხოლოდ სამზადისს წარმოადგენენ უფრო დიდი კამპანიებისათვის და რომ ყუმბარების დაშენა ესპანეთში საუცხოო სკოლა გამოდგა მისი მფრინავებისათვის“.

„ჩემბერლენი, — აცხადებს დასასრულ გაზეთი, — კარგად მოიქცოდა, თუ თავის თავს შეეკითხებოდა, რა ფასი აქვს ჯენტლმენურ ან მეგობრულ შეთანხმებას ასეთ კაცთან“.

პრესა, რომელიც გეგმაშეწონილად იცავს აგრესორთან შეთანხმების ხაზს, როგორც, მაგალითად, „დეილი უქსპრესი“, ცდილობს დაამტკიცოს, რომ მუსოლინის სიტყვა არავითარ შემოქმედებით ხასიათს არ ატარებს მართული ინგლისის წინააღმდეგ და საფრანგეთის წინააღმდეგაც კი, და რომ „შესაშფოთებელი არაფერია“. სხვა გაზეთები ამ თვალსაზრისს არ იზიარებენ.

„ამ სიტყვას, განსაკუთრებით ამ ნაწილში, რომელიც საზღვაო შეიარაღებას ეხება, — სწერს მოწინავეში „ნიუს ქრონიკლი“, — მიზნად აქვს შთაბეჭდილება მოახდინოს ჩემბერლენზე მასთან გარიგების დასადებად“.

იმავე აზრს გამოსთქვამს „მანჩესტერ გარდიენიც“.

„იტალიელთა სამხედრო მანქანას, — აცხადებს გაზეთი, — თუ მუსოლინის სიტყვის მიხედვით ვიმსჯელებთ, მთლიან სრულყოფამდე ახლა მარტო ერთი რამ აკლია — შესაფერისი მტერი... ომი უკვე საშუალება კი არა, არამედ მიზანია თავისთავად. იტალიელი ოფიცრები და ჯარისკაცები აბისინიასა და ესპანეთში გაგზავნილ იქნენ არა მარტო დასაპყრობად, არამედ სავარჯიშოდ და უფრო დიდი ომისათვის გამოცდილების შესაძენად“.

